

კვრა 14 მარტი

ფასი 10 კაპ.

საქართველო  
შრომობრძეობა

# მართახი

№ 11

— სალაშქრო

ყოველ-კვირიანი იტომ. აქონალი.

კ ა ნ ო ნ მ დ ე ბ ლ ე ბ ი!



სახ. — ს. სახიძვე

პრ. მინისტრი. ვერე არ შეიძლება, ბატონებო, სირცხვილია! შემთხვევით, კანონპროექტებში მრეტხავეი ჭალის ანგარიშები ჩამოხა. თქვენ ავილით და დავიმტკიცებით. ყველაფრის დამტკიცება არ შეიძლება, ბატონებო, სირცხვილია!

— ხომოკოვი. ???

# „შოკა“

მილათივის კუნძულს ტკბილათ ეძინა. აქა-იქ, კანტიკუნტათ მოსჩანდნენ წესიერების დამცველნი, მაგრამ რადგანაც დასაცავი არაფერი იყო, საღმე კბებზე ჩამომჯდარნი გულმოადინეთ ამთქნარებდნენ.

შუალამის თორმეტი საათი იქნებოდა, როცა მტკვირს ვარჯევნი „შტორე მისამა მიულოდნელო ჩქევა სიციხისგან ამწვენებული ტალახისა და ნაპირს ლალი მედიდრობით მოადგა პატარა, კობტა ნავი. სულ ნახევარი საათია, რაც ის „პარიედიან“ გამოიდა<sup>1)</sup>. ახალგაზრდა „მენავე“ მარტან გადმოხტა მილათივის კუნძულის ტერიტორიაზე, ცოტა ანწეული თვლებით მიხედ მოიხედა ირგვლოვ და რაკი ვერავინ შენიშნა, შშვიდის ნაბაჯით გაემართა მ. გაჩქარობის გამოკევაბულსაკენ.

კუნძულის მცხოვრები მეცხერ „ძილის პირს“ ხერინავდნენ. ერთადერთი ხრინწიანი „შანტკლეერი“ ნამეთარლევ თავადიშვილივით ხლიჩინებდა, ხოლო ის დედებულო ამბავი, რაც გაეჩილაძის გამოკევაბულში ხდებოდა, ამათვის და მრავალ ამგვართათვის ასეკეი საიდუმლოვებით იყო მოკლული.

აქ, აი ამ ნესტიანსა და ბნელ გამოკევაბულში, შუალამის თორმეტი საათზე<sup>2)</sup> იშვა ქვეყნად „მეთობე დასი“!!

ჩვენი ნაცნობი „მენავე“ ეს დახელოვნებული „ბებია“<sup>3)</sup> მოუწამე „მესამე დასი“ მოლონებისა და „გვარდაცვალებისა“, დღეს ადვილათ და ხელ მარჯვით დაუხვდა თავის ძნელ მოვალეობას.

— „მეთობე დასი“ ეგ ჩვენა ვართ ამხანაგებო! ტკბილი ხმით აუხსნა მან დაბსწრეთ, ჩვენ დღეს დაიბადეთ სულიერათ და დაეიბადეთ იმავ სათავისაგან, საიდანაც „მესამე დასი“ დაიბადა.

მიხა გაჩქილამეს ძლიერ გაუკვირდა: რომ ის, კარგა ხნის დაბადებულთ ყოფილა და რომ დღეს ხელმოკრეთ იბადება „იმავ სათავისაგან“, საიდანაც „მესამე დასი“ დაიბადა.

— სწორეთ ვერ გამოვია, დაიწყო მიხამ,—თუ უწინ დაეიბადე, ახლა როგორღა ვიხადები და თუ ახლა ვიბადები უწინ როგორღა ვიხადებ დაბადებული?

— ეგ არაფერია! მიუგო „მენავემ:—შენ მაშინ დაიბადე ზორცილათ ანუ მატერიალურათ; ხოლო დღეს იბადები სულიერათ, ანუ იდეალურათ.

მიხა გაჩქილამეს ძლიერ მოეწონა ეს პასუხი, ვინიდან ის განზორცილებული, ანუ გაუსწორებე-

ლი იდეალისჯია და უკიდურესი სამოგებენი ნიშნით ორ-სამჯერ ნერწყვი გადაუღვამა.

— ეს ძალიან კარგი, რომ ახლა ჩვენ სულიერათ „ვიშვებით“, დაიწყო სევასტი გაჩქილამემ, მაგრამ ერთი ვერ გამოვია: „იმავ სათავიდან“ საიდანაც „მესამე დასი“ იშვა ხომ ისევ „მესამე დასი უნდა შობილიყო და ჩვენ კი „მეთობე“ ვართ?

— ეს არაფერია, ეგ თუ ნებას მიბობდეთ აღვნიშნო, პატარა ვაუგებოდა ანუ პატარა სისულელეთა და აიხსნება იმ ვარემოებით, რომ ადვილათ შეიძლება დიდმა კაცმა პატარა სისულელეთ მოახერხოს . . .

— გმადლობთ, გნადლობთ, ეს მართლაც ახლა გახდა ჩემთვის ადელი მიახვლემი, რაცა თქვენს მაგალითს ვხედავ; თუ რა ადვილად ეხერხება პატარა კაცს დიდი სისულელეთ.

მან „მენავეს“ შერცხვა, რომდენათაც ეს შეხედობელია მის მდგომარეობაში მყოფი ადამიანისათვის და რომ „მეთობე დასი“ განხეთქილებდა არ გამოეწევა აჰჯობინა უპასუხობთ დეტოვებია სევასტის მწვავე სიტყვებით.

— მე შექმელო თქვენთვის საკადრისი პასუხი მომეცა, დაიწყო მან. — მაგრამ ჩვენი მიზანია მთელი საქართველოს შეერთება, ერთ ხანაკათ შედულებდა და მათი ერთი აზრით გამსჯევალა.

— შილოდ ვაფა ფშაველას ნუ ვაფურვეთ... პირდაპირ აუტრეული კაცია! ჩაუწია მიხა გაჩქილამემ.

— ეს თაისთავათ ცხალია, დაამშვიდა „მენავემ“, ვაფა-ფშაველა თავდაპირველათაც სხვა „სათავიდან“ იშვა.

მიხამ საითბუნების ნიშნით ერთი-ორჯერ კიდევ გადასადა ნერწყვი.

— მე მიხეც ვერც გამოვია: ჩვენ მეორეთ დაბადება რალა საქირო იყო, ცოტა დარცხვენით დაიწყო სევასტიმ. ორჯერ სიველი კიდევ გამოიზონია და კიდევაც გამოიძლია, მაგრამ ორჯერ დაბადება ეს ჩემთვის მიუწლომელი რამეა.

— შე კი კაცო, როგორ ვერ გაიგე, რომ ჩვენ სულიერათ ანუ იდეალურათ ვიბადებით? . ნუ თუ ამას დიდი გავგება უნდა.

— სწორეთ რომ დიდი გავგება არ უნდა და მიკვირს მა იმერთი გიწყრება ასეთ განათლებულ კაცს ეს ვერ ვაგვიო. მე თავდაპირველათ იდეალურათ დაეიბადე; ჯანი არ მაკლდა და ტანი, ქეთა და ლინე.

— ჩვენ თუ ვგრე დაიწყეთ „მეთობე დასი“ ვერაფერი ხანგრძლივი გამოდგება!

— ეგ თქვენზეა დაბოკილებული. ჩვენ შავი ხალხნი ვართ. თქვენ უნდა ავგოხსნათ და განვივარტათ ყველაფერი. შენიშნა მიხამ.

— აქა ჩვენ უწინარეს ყოვლისა ქართველები ვართ. აქ „მეთობი“ და „მეთობი“ მოსატანი არ არის. კიდევაც მაგან დიდმა „მესამე დასი“ საქმე მოსდენდა და დაანაწილეს საქართველო ათას ნაიროთ: ეს მუშაო, ეს მღვდლოვ, ეს თავადიო, ეს გლეხიო, ეს ვაჭარიო, ეს ნოქარიო და რეც იცის კიდევ რას არ მოიგონებდნენ, რომ ამ ვიწკიას არ მოესწრო, და ჩვეთვის, „მეთობე დასისთვის“ მათგან გზა არ გაეწმინდა.

1) შეიძლება მოთხველს ეუბოვოს ეს განსაკვირებელი სიტყვა, მაგრამ გასაჩიხობელათ მოვახსენებთ, რომ „პარტის“ ხირალი ლეონის საზღვრებსაც არქმევდნენ ხალხმ.

2) თორმეტი საათი საზოგადო დროა ყოველდარი შაბისა.

3) „ბებია“ რასაკვირველია სანაშაბრთ და არა სქეობ რიგი მნიშვნელოზა.

—სხვისი არავისი ინტერესი არა მაქვს და ხუცე-  
ბი კი არ მიყვარს, შენიშნა მიხა გაჩეჩილაძემ.

— ხუცეები კიდევ სხვებს სჯობიათ ჩემი აზრით  
თავადები არ არიან მისაღები, დასძინა სვეცატიმ.

— შენ თაობიდანვე გიყვარდა „მაკარიოზები“,  
მოუჭრა სიტყვა მიხამ.

— არ ღირს, ამხანაგებო, მაგავს კამათი. ეხლა  
ჩვენი „იდეალური“ ანუ სულიერი შობის აღსანიშ-  
ნავით საუბრობ ხორციელ ანუ მატერიალური ჩვენი  
სახიერებას ვასაიომოვნოთ

— ესე იგი მოვალხინოთ, არა?

— რაღა თქმა უნდა მოვალხინოთ.

— მაგრამ ვიდრე ჩვენი, „მეთოხე დასის“, სხუ-  
ლისათვის ზრუნვას შეუდგებოდეს, დაიწყო ტყე-  
ლიათ ბანმა „მენავემ“, საუბრობა ეხლავ დავნიშნოთ  
ღრო და ალაგი ჩვენი „მეთოხე დასის“ წვერთა  
სახოვადოა კრებისა.

— ჩინებულთა! წამოიძახა სვეცატიმ. ვთხოვთ  
მობრძანდეთ ჩემს საკუთარ სახლგებში „ახალშენში“  
ან „საპურთალოზზე“.

ყველანი დავთანხმენ და შემდგომად ამისა ასე-  
თივე თანხმობით ჩამოგშვენ მტკვრის ნაპირას, სა-  
დაც მათ უცდიდა წელთამდე ტალახში ჩაფლული  
ნავი, ჩასდენ და შეუსურდენ.

ნაშუადღევსი პირველ საათზე წარმოითქვა  
პირველი სადღერძოელო ახალ-შობილი „მეთოხე-  
დასისა“, რომლის საში მამა-მთავარი აღტყეებით  
ულოკავდენ მიკიტანს ამ ბრწყინვალე მძავეს.

**ეშმაკი.**

\*  
\*

კრელო, შეშრი, ნუ ვადმოქუბ,  
გულო, უძელ ტრილს, ვნებას...  
კვლავ მოიტანს ისევ მოსე  
სინაის მთიდან ათ მცენებას!..

კაეშანო, ფრთა შეკვეთ,  
გულს, იმელო, აზნიანდ,  
კის ტატნაობა, მოკუბარულო,  
დამანახე განთიადი!..

ქაბო, სისინს დაგესინე,  
ქმარა რაც თავს დამატრეი...  
სატრფოვ, გულო მოიბრუნე,  
ვევერები ნუ გამოჟიერ...

ნაკაულუო, ადულუნდი,  
დეჰკურე ტურფა ის...  
ბულბულა, შენე ახმატკილიდი,  
ველოდები ტია-ტიას...

კრელო, კმარა! ლოყას ნუ წვავ,  
უური უგდვ ჩემს ვედრებას;  
კვლავ მოიტანს ისევ მოსე  
სინაის მთიდან ათ მცენებას...

**გ. მალაქიაშვილი.**

**დექემემი.**

(ლიკლიკადის სეაგენტო)

საქართველო  
საბჭოთაო

**სეარბეი** (შემდგვი). „გვეყუციონი“ იუბი-  
ლის გამო დაჯილდოებულ იქმნენ უმთავრესი  
ჯილდოთი: გრიგოლ (იგივე) „პოზიერა“ ქარკილაძე.  
მეორე ხარისხის ჯილდო მიიღო ისაკი მალაზონიამ,  
იოსებ მურვანიძემ, გიორგი ვასაძემ, დიომიდე კო-  
ბალავამ, ვე. ტულუშმა და სხ.

ქების ფურცლები დაიმსახურეს კახურის მამა-  
სახლისმა ერშალო შარაძემ და მწერალმა იესე არო-  
ბელიძემ. საჩუქარი ემიათ (კაცკ-ხუხუხალი-ოღლის  
მიერ ნაკურთხი მართამი) გიორ. ვასაძეს, მალაზო-  
ნიას და იესე მურვანიძეს.

გვიართ ქარკილაძეების უმეტესობა (მარინეთურთ)  
წარადგენილ აქვან საცა ანდრ.

**ლანჩხუთი.** საზოგადოება აღტყევაში მოიყვანა  
მეტირე კლანდაძის ნიქმა მხეცების (სხვათა შო-  
რის ღორის და მეგლის) გაშვრთნის გამო: ერთხმით  
გადასწყვიტეს არსად არ გაუშვან კლანდაძე, დაუ-  
ნიშნონ პროფესორის ჯამაგირი და მიამარონ აღსა-  
ზრდელ—გასაწვრთნელ—გასაშინაურებლათ ყველა  
ისინი, ვისაც ღდეს თვით ხალხი . . . . . შეი-  
დებლათ. თუ რას იტყვის კლანდაძე, ეს შემდგე.

**შუხუთი.** საზოგადო კრებამ მიანდო ცნობილ  
სიძეს (Батумский Вѣст-ის გურულ სიძეს) სამა-  
დლობელი ადრესის შედგენა და მირთმევა ინსპექ-  
ტორ კოჩია მაჭავარიანისთვის, იმ ფელეტონის გამო,  
რომელიც მან მოათავსა ბათუმის გაზეთში და რომ-  
ლითაც დიციო შუხუთლებისათვის „მარინკო“ სა-  
სწავლებელი თავის ყველა „ოტლეგენიბით“.

**ნიგოთი.** მღ. ლავ. იოსავის ორასზე მეტი მა-  
ზიარებელი ყვანდა, რისთვისაც ის უღრმეს მადლო  
ბას სწირავს ადგილობრივ მთავრობის მამასახლისს  
თავის სტრავენიკებით.

**ლანჩხუთი.** „მელიციანსკი“ ფერშაღმა მელოკი-  
დზე—მელიციანსკამა აღმოაჩინა ხუნავის (დიფტერი-  
ტის) უებარი წამალი, რომლის მიღების შემდგე  
ლ—მაძის ბავში (აქ დამახინჯებულთა...)

**ჭანჭათი—ზომლო.** ცნობილი ლევიარსი ქო-  
სა-გოჯა ვადაქორია ითხოვს, შემოდებულ იქნას  
აქეთში მთავრობის მამასახლისი. დაჯილდოებულ  
იქნას უმაღლესათ მამის ძმის და შვილის... (ვერ  
გავარჩიეთ) გამო დაენიშნოს პენსია, როგორც საუ-  
კეთესო ტყიბილ ენოვანს. ჯერჯერობით ასეთ თხოვ-  
ნაზე ხელს უწყობს მხოლოდ თადიმე...





მღეის პირათ.

I

უკვე დაბინდა. ჩამავალი მზისა სხივები  
 უკანასკნელად ციალებზე ზღვის ზედაპირზე.  
 ზვირთნი ჰვალბენ სიღრმელო რაღაც სიმღერას,  
 თან როგორცთა მისცურავენ ხტუნული ნაპირზე.  
 ჩემი დავლიკით უკოცნიან ტუჩს ცივ წიაღავს,  
 შემდეგ უკანვე მზიარულათ დაბრუნდებიან,  
 და იმათ ნაცვლად სხვა ახალნი სტიქიის შვილნი  
 კვლავ საამბოროთ დარაზმულნი ისტუმრებიან.  
 შორს, იქ, კუნძულთან თოვლივითა თვითი გედები  
 ლაღათ სცურავენ... მოღუღუნე ტალღათ დენასა  
 ყელ მოღერდნი სიხარულით ეგებებიან,  
 ხმას შეუწყობენ მათ ვალობას, ტბილ სიმღერასა.  
 გრილი ნიაიკ დასავლიდან მოჭკის სისინით,  
 ის კი, ის რაღაც მწარეს მოსთქვამს თავის ნანაში,  
 ზღვის ირავლივ მოარტყმულ ბუჩქ-ბალახებს კენსით  
 მოუთხრობს,

თუ რა მომხდარა საღდაც, უცხო, შორს ქვეყანაში.  
 უმომბოს: „ეგზეფ ფთოთლი  
 ჩამონაწყვეტი ქარისა,  
 ძალით შორს გადატყორცნილი  
 შვილი აი ამ მხარისა.  
 ფერი არ ჰქონდა... ყინვასა  
 იგი სიცივეს უჩვევი,  
 აჩრდილისა დამგავებობდა  
 უგზო უკვლოდ ნათრევი.  
 იღუპებოდა... ტანჯული  
 ნატრობდა თავის მშობელსა,  
 მაგრამ ამოდა! . მუდარა  
 აღარ ესმოდა სოფელსა“.

და ხმა ჩამიდა, აქ შესწევითა მან ეს ამბავი,  
 მთის ორწოხებში გადაიქრა მარდათ მფრინავი,  
 მხოლოდ ზვირთებმა ეს სიტყვები გაიმეორეს  
 გლოვის ბუტბუტით ამცნეს იგი ერთი მეორეს.

II

ფიქრთა ტალღებო! ჩემ ნაღველთა მღღმივრო  
 შვილნო,  
 თქვენც ხომ ამ გულსა ლიკლიკითა ესაუბრებით?  
 თქვენც ხომ უკულმართ ცხოვრებისა მარად ნიაივ  
 მწარედ გატაკებათ, ამ სოფლისა მწარე ამბებით?  
 ჩემო ყვავილნო! ნუ შეშფოთდით ამ შვიკითხავზე...  
 თქვენს ერთგულ მგოსანს ნუ ამიშლით ნასა  
 ნაღველსა,  
 მშვიდათ, თამამად შეეგებეთ ჰირს შემოჩვეულს...  
 განა არ იცით არ ეწვევივარ შოთქმა-ცრმელმებსა?  
 ან რაღას გვარგებს?... ცრემლი მხოლოდ გულს  
 აძლევს შეებას,  
 გარეთ მორეკავს შივ დანაბულ მწარე ვარაშსა  
 მით კო გასაქრს ბოლო მინც არ მოეღება  
 სევდასა ისევ სევდა მოსდევს, ტანჯვა ტანჯვასა.  
 მაშ რად დავკარგოთ, ჩვენვე გეკანდეს ჩენი ვარამი,

შეგველ სტუმარს ძველებურათ მიესტემა სიღრმეში  
 რომ თავის დროზე ცეცხლის აღად გულში აფეთ-  
 კდეს  
 და გავაზნუნოს.. ბრძოლის პანგზე ჩანგი ამღერდეს.  
 ხედავთ? ცრემლის ტბა დასავლისა ქარის სისინზე  
 ნელა ირზევა... ჩაგრულ თვალთა ჩამონადენი,  
 ზედ უშიშარად დახარხარებს ბოროტი სული  
 ჩენი მიზნისა და სიციცხლის დამემობა-წაზნდენი.  
 მას ცრემლი ატკბობს... მაშვრალთ ცრემლი სიმძე-  
 ვეს მატებს...  
 გულ-მზიარული გამარჯვებას დღესასწაულობს...  
 ოპ მშვიდათ, მშვიდათ! ნუ ატოკდით... სჯობს და-  
 ვუმტკიცოთ  
 რომ ის მიზანი ისევ სციცხლობს, ისევ სულდგმუ-  
 ლობს!

III

ახ, შენ კი ტალღავ, უდარდლო, სტიქიის შვილო,  
 თავისუფლების შეუწყველელ მკერდზე შობილო,  
 ნუ, ნუ დისცხრები, შეგარევი უფსკრული ზღვისა  
 მით მომალხინე განდევნილი შვილი სოფლისა.  
 მიყვარს მე ომი... მიყვარს ბრძოლა უფლებებისათვის,  
 მიყვარხარ შენა, რომ მზად ხარ მარად მტრისათვის  
 და მუდამ გაქებ... ჩემ გულის თქმით ვერ ვმალავ,  
 ვერა

პა ყური მიგდე, ვაიგონე ჩემი სიმღერა,  
 მსურს რომ ვიყო მძლავრი ზვირთი  
 ზღვის მკერდიდან მოხეთქილი,  
 თავისუფლად მხტუნავ-მსბობალი  
 მტრის ზარ-მეხათ მოვლენილი.

სულ ვტოკავდე  
 სულ ვშფოთავდე  
 ვერ მბოქავდეს მტრისა ძალი,  
 ბილწო ვმურავდე  
 უფსკრულს ვნთქავდე  
 თვით ტბილ ჰიმზე მომღერალი.  
 კლდეს ვანგრავდე,  
 ამასკ ვძლვდე  
 ვიკაფავდე ხსნისკენ გზასა,  
 ფრთას ვასხამდე  
 ტახტზე ვსავდე,  
 ჩაგრულთ დღენილ იღვასა.

ხომ გესმის ტალღავ? ხომ გეამა ჩემი სიმღერა?  
 მაშ აბოშქრიდ, აატოკე შენ სხვა ზვირთები,  
 მიყვარს ბრძოლის ხმა... ზვირთთა გმირულ სრბო-  
 ლა-ქუხილზე  
 გაიფანტება გულის ბოლმა, მწარე ფიქრები!

6. ჩხიკვაძე

# გურული სკენა.

(„მარინკი კლასი“—ლანჩხუთ-შუბუთისათვის. კესა ლანჩხუთელი, ლისა შუბუთელი).

— ჩემო დიავ, ლანჩხუთი არ ვარგაო, ყორიფელი ბამ-დი რომ დადგურაკეთ, თვარ ვარგა ჩემი დაივი, რა გინდებიან ამ გაღანძულ ქვეყანაში, ცოლდე რომ აქანაი ჰმანდებთ—ვისაც გავლანძღე, ვისაც გავთოხა, იმს არც კი წიგეკარები—მალობა ღმერთს, ყორიფელ კას მიესტრება კაცი—თქვენი ყბის საქცეოც შევიქნით.

— ჯგარი გწერია, ჩემო კესა, რატუმ იკარებ, ყბის საქცევი რა გიჭირთ. მარა არც ჩვენ ვართ ასე მის-ღოცხავი, ჩვენც ნუ გვიგონებთ უკანოლად დაბადებული, ჩვენც თქვენი საზოგადოების ვართ, ყორიფელი გადასახლხა თუ კი მივგავიძაბეთ, რაცხა ჩვენც უნდა გავითხებოდეს. ყორიფელი რომ თქვენ გინდებიან, რაცხა ჩვენც გვახელეთ ჰაწი ნიორთა ნაქურჩელია. თქვენ, ღმერთმა გითოს, სხვიც გყუფიან და ავი მარინკი კლასი ჩვენ დაგაგნებთ.

— უკაცრავათ კი ვარ დაი, მარა მანანდი აფერი გეტყინ, რას ჩივი ჩემო დაია, ამისანი განახლებული ადგლია და სატურიში დაგანებთ კლასი? სტანკია აქანაია, ბალნიცა, გოროდის კლასი, სასაფლო ორკლასიანი პაიხოდის, პრისტავი აქანაია და მამასალისი, ზობლითოცა და მალაზიები, ახლა კიდევ ტრიატს ვაყეთებთ და ვვილით და თქვენ დაგანებთ—მაგი რავეც იქნება, გულში თუ გვიფიქრეთ—ინას რავეც გინდა ისე გავარაკუნებ, მარა პირიდან რავერ წამოვიგინდ ნაგი საშინელი, ხომ დაგვიღუქათა ციკავები გამოკრებულ შუბუთში?

— თუ ქალი ხარ, თქვენ სიკეთეს ყორიფელს ნუ მათქმებთ—ტომარში ქელი არ გვეოთო, ჯგარი დამწერე, თქვენი სიეთე ქეა რუსულ განუთო, მარჯვენა უყეთო, კარგათ შეუმევიხართ ლანჩხუთლები ინსპექტორ მაქავარიანს. ყორიფელი მართალი უთქვამს—ლანჩხუთში წყალი არ ვარგა და ჰაწიო, ქალიწ და კაციო, ვადიბიბიკიებენ ულგოშებს ქაწიფელი კაცებიო, ქალიწილებს გმენტრუციებიან და ლექსებს უტიტარებენო, შუბუთში ყორიფელი კათა: წყალი და ფთის ჰაწიოცო, არც არწიყობა იქნება და არც ფეერი, პატოსანი კუთხეთა.

— გამოჩინებულა ჩემო დიავ თლათ, ან და დავიქთამევენ. ქვეიანა რა თქვა შენ იგი მითხარი, თვარა და ბლოწმული ბერიკაცი რას იტყვის, რა მოსახსენებელია. ბღლის მელი ანას რავე იტყვიან—შუბუთი ლანჩხუთიღვენ ორ ვერსზე—ბ.ხმარო არც იქინეთა და არც აქანაია, დაყუდეული ბერები და მალაზნები არც თქვენშია და არც ჩვენში. ჰარ გვიტყუებ შენი თავი. კლასი იმხამინდა, რომ ციკი გავიზარდოს, თვარა ანაფლანგებმა რომ მინდოდეს, ივერ გავაგზანდი ჯიბისს, სწორებ გითხრა ჩემო ციკამ აბანდისც უნდა იყოდეს, დაბანდისც გიტარაც და ლექსიც, წერა და კითხვაც, მაგი რამ ვაოქმეო? ყორიფელს რომ გუუძლით, იმგელა გადასახლს დაგადებენ, რომ ავეწობა. ან ორი პუხუნაი შუბუთლები იმს ვერ გუუძლით, შერე ქე ჩიყვინტავთ ჩარბს, მარა რა რიოს იქნება,

— ჩემი დიავ, თქვენ თქვენი სატრალი იტირეთ, ჩვენ გუუძლით თუ არა, იმს თქვენ არც კაცი გკითხავს, ახლა რომ გვიყოფებ, როის იყო რომ გეცოდებოთ.

— და დივი და აკალი, გამქცევი და მიწვევი ორივე ღმერთს გვაწამაო. მარა იმღნი დაფაქურდით, კიბი არ

ჩაგვიდარნ ნაცარნი, თვარა მე რა გნაღველებო. ჩეტი ყორიკაცი ეზოში იყოს თითო კლასი.  
— მაგის მჯავრი ნუ გაქ, ჩემო კესა, თუ ჩაგვევარდებო, გაწმენდაზე თქვენ არ მოგიბძირებთ.

პიგნა.



## ხო მის აბღლიწყასა.

(ზსჯიფაღსეგური.)

„ბღლიცავ“, ჩემო „ბღლიცავ“ დგმულო ხობის წყლის პირათ, მებლი ძველი კაცი ვაყვს, ეწილოთ გნახულობს ძვირათა, ან როს გნახულობს რათ გინდა, შენთა „პაციენტო“ ქირათა? „ბღლიცა“ ხარ თუ ბოცილი, ქცეული ნაგავ-წვირათა?

როს კაცი მოდის,—შეკრთები, სირცხვილით გაიწურები უქმი უჯანიოზო, სიციცხვი მოინდმულრები... ფერშალთა შენთა ამარად რა სიწყლით გაიყურები? უბღლო ქვეუნდა კატა ჰყვეს, უმგლოს ჰყავიან ტურები!

უსარგებლოსა, უჩემურს—როს ვაქნე—სარაისის!.. სულით და გულით შევხარი ჩემ კოხმას კარაისის რას ვაქნე ხობის „ბღლიცას“ არავინ არაისა! თუ გამოქირდა, მიგმარებ ნიკოლა ცხადიას:

მოვლით ხომ მიანც მომიგლის, ვეღარ დამპარობს ციება, ვეღარ დამძალავს ანთება, ვერცალა თავის ტკიება: ჩვენ ვერშალით უყეთ მან იცის სატკივისი გამოძიება, ავათწყოფთ ვასამხნეველით ტკიბილი სიტყვიის „ჩიება“.

და შენ კი, ხობის ბაღნიკაც,  
გდინხარ მტრის ვახსაბრათ!  
უქციმ: უჯიანოზო,  
ფერშოლთა ანაბრაათა.  
ბეჩავათ გაიყურებო,  
არ ღირხარ არც ერთ ფარათა,  
ნატრობ, დღეს „პაციენტები“  
კარს რომ გდგომოდენ ჯარათა!..

„ბაღნიკაც“, ჩემო „ბაღნიკაც“  
დგმულყო ხობის წყლის პირათა,  
საქმი დღეს უპაციენტოც,  
დახშულყო უქმე-კვირათა,  
ექიმი რომ გყავს, ვიცი და  
რატომ განახულობს ძვირათა!!  
მითხარი: ბინათ ოთახებს  
და ფულს ხომ აძლევ-ქირათა?!

ონისიმე



### სანაგვე პოეტები

(ბიბლიოგრაფიის მაგურა)

#### ამბაკო ბ. მალრაძე.

„ძანთ ამ სოფლის საცნობლათ  
ეს ჩხაბვა მამიგონია,  
პოეტსა აჰქვს ქებაყო  
რაკი ეს გამიგონია.“

უბედური შემთხვევა ყოველთვის ასე იწყება  
ხალმე! რომელიმე უსაქმო ყნაწვილი „გაგიგონეს“  
სადმე „პოეტსა ააჰქვს ქებაყო“ და არც აცოვებს,  
არც აცხელგებს, დიიწყებს „ჩხაბვას“.

ასე მოუვიდა პატივცემულ ამბაკო მალრაძესაც,  
რომელიც აირს მარეღისის მცხოვრები. მართალია  
იგი:

«არ არის ნაწყელი,  
ვერც ხარჯა მასზე ქესები,  
ღმერთთან უბოძა გონება  
ამ გვიანდ დასაიყებო.»

მაგრამ სამწუხაროდ „მთვსელიც“ ვერაფერი  
შეილი გამოდგა და „სათესლეც“ ფუქი და უფარ-  
ვისი. აი თუ ჩემი არა გჯერათ თითონ მოიხიბნეთ:  
«რა მოსცდეს აზრი უბოძოდ  
ვარ კალმით მისად მზელენად,  
გზივარ მალრაძე, ლექსსა ვერ  
ზოგათთვის შესამკობლად.»

აი ესტკვათ, მოსკდა“ ბნ მალრაძეს „უზო-  
მო აზრი“ და თითონაც იქვე ზის, კალმით მხლევ

ბელად“ და დასწერა ლექსი შესაქებელმა მწიგნობარმა  
ვინ შეაქო და როგორ შეაქო:

„შე მივევრს კაცი მოღვაწე  
წრომისთვის ოფლის დამღვრელი,  
მელნის ტკაქლ ქნას გოშერი  
და მელნათ თვისი ნალღელი.  
კალმად იმზაროს თვისი ენა  
იით სიტყვა წამონალღელი,  
და ლექ ად შეხვას ყოველი  
ამ ოფლის ამონალღელი.“

აი რა „უზომო აზრი მოსკდა“, ბნ მალრაძეს.  
ის შეხვდა მას ოფლის დამღვრელი, ხელში ეჭირა  
თავისი ენა და მელნათ ელგა თვისი ნალღელი. ლე-  
ქსად გამოსტკვა ამ სოფლის:

- „ამონალღელი“
- „ჩამონალღელი“
- „გამონალღელი“
- „წამონალღელი“
- „გადანალღელი“
- „გადამონალღელი“
- „უკუნალღელი“
- „მიმონალღელი“
- „წემონალღელი“

„შემონალღელი“ და მრავალი ს'ვა  
„ნალღელები“, მაგრამ მიანც არაფერმა უშველა.

აი ასე დიიწყო „თხუზვა“ ლექსებისა ბნმა  
ამბაკო მალრაძემ და რაც აქამდე მოვიყვანეთ, ყო-  
ველივე ესა და მრავალთ-უშრავლესი ამგვარები მოა-  
თავსა მარტო „წინასიტყვაობაში“. შემდგომად  
წინასიტყვაობისა, როგორც „პოეტი კაცი“ ეს  
მწვია „ბელაქს“.

„შე შეხედე ფრთოსან ფრინველს“  
ესტყვი რა გრძნობით უხარია,  
მე მეგონა სიხარული,  
თურქე გულით მწუხარია,  
დასტროდა თაისი მგლისა  
ტრეშლთა გადამოქუხარია  
სოქვე თუ ვერავინ ამამყარა  
სოფლის გულის ბუხარია.“

ხელათ? საწყალი ბულბული!!! იჯდა თურმე  
„სტრულზე გადმოქუხარია“.. მარეღისში ამბობენ.  
ბნ ამბაკო მალრაძეს ამ „გადამოქუხარე“ ცრემ-  
ლობთან წისკვილის მოწყობა უნდოდა, რადგან  
აქეთ საწისკვილო წყალი ძვირობსო, მაგრამ ბულ-  
ბული გაფრენილიყო. ესეც უბედურება პოეტისა!!!  
შემდგომად „ბულბულისა“ მგოსანს რაღა  
თქმა უნდა „მელანია“ გაახსენდებოდა, რადგან:

„მელანია სოქვა საქვიმ ვარ  
მავრამ არ სოქვს ჩემი ქება,  
ჩემგან მავრამ ველოდფერი  
სიტუფე და ეს შეკრება.  
მოგვერ ტეპლო ზოგჯერ მწარე  
სრულათა მქსს რისხვანება  
თეთროზე შევთ დავტეკობი  
პოეტით მქვს რადგან ნება,  
თუმც არა ვარ ტანათ დიდი

\*) გასაუკრი მოკლენა! მარეღისში ფრინველები თუ-  
მე ფრინაწეი აოფილან და ბულბულიც მათ შორას.

ღვითი რისხვა მაქვს ძალანი,  
თეთრ პირა და საქმით ტურფა  
შავ გიშერა თვალნიან!

ერთი სიტყვით, ღღმღღ არავინ არ იცოდა,  
თუ რა გემოსი იყო მელანი, რადგან „პოეტები“  
კალმით სწერდენ, ხოლო ბ.ნ.მა მალრამემ გამოი-  
კვლია მისი გემოც, ვინაიდან „კალმათ“ მას „თვის  
ენა“ უჭირავს. არც ის არავინ არ იცოდა, თუ რა  
„ტანისა“ იყო მელანი: დიდი თუ პატარა და ამ  
გამოკვლევასაც ამაჟიკოს უნდა ვუმაღლოდეთ.

„ყოველი სოფლის ამაჟიკო  
არს ჩემგან დანადუსტარი,  
მუღივ ვაწნები კალამსა  
ტიკაშიდ ჩანაჟუსტარი!“

ამბობს „მელანი“, რაკი „პოეტით აქვს იმას  
ნება“ და განა ეს სრული ჭეშმარიტება არ არის?  
„დანადუსტარი!!!“ „ჩანაჟუსტარი!!!“.

ბ.ნ.მალრამე ამაჟიკო, იმით განჩირევა სხვა  
„სანაგვე პოეტებისაგან“, რომ ლექსთა სახელებში  
სრული სისტემა და წესიერება აქვს. რაკი „მელა-  
ნი“ ახსენა, მისივე მიაჟიკო „კალამიკა“ და „ქე-  
ლალდი“, მაგრამ თითო „განყოფილებიდან“ ჩვენ  
მხოლოდ თითო საგანს ვგვაცნობთ. ამიტომაც დარ-  
ჩეს ქალაქ-კალამი „ჩანაჟუსტარი“ და ჩვენ შევე-  
ხოთ „თჟჟ“ის თაგ-კაღსაჟაღს“.

**ნაცარქექიო.**

(დასასრული იქნება)



**კვლავ ვიფიქრებ.**

„კმარა, ნუ მღერ იმედის ხმებს, —  
მეუბნება ბედით მტკბარი,  
ფუქ ოცნების ნაყოფია,  
მოამავალის ტკბილ სიზმარი,  
ეტრფივალე მთვარეს მბრწყინავს,  
ვარსკვლავთა გუნდს მოქათაუთეს,  
ხან ცის სივრცეს მივწყებე,  
ხან გაეკარ შთების კალოებს.  
ტრფობის წალკოცს დაუმოყვრდი  
გამონახე კელუტები:  
ენებით მთვარალმა მათ გულ-მეკრდზე  
უხვით ჰკრიფე ყვავ-ღვები.“

არა, არა, ჩემზე არ სჭრის  
ამნარი დარიგება!  
ევ ჩემთვის არ დაწერილა  
საარსიყო ტრფობის მცნება.  
ვერ ვენდობი ოცნების ფრთებს,  
ცის ბრწყინვალ აგულმეკრდ წიაღს,

როს ცრემლს აფრქვევს დამკვრელი,  
მე ვერ მოკვრევ ვარდს და...  
მერე რა გქნათ, ზოგს უკმრებით  
ესმას ჩემი ჩანგის ეღვრა  
და ბრძოლისა მედგარ ჰანგით  
მოეშხამოს გულის ძტერა!

სამაგიეროთ ჩაგრულთ გულში  
მას ჩაუკსოვ შეფების წინდით,  
განთიადის ჰიმნს ვუგმობრებ  
და გაღვინდი ჩემს ვალს წმინდათ.  
**დ თურდოსპირელი**



**მესტვირული.**

(„წუთი სოფლისაღვის“).

წუთი სოფლისა ყოველი  
ამაო წარმავალია...  
„წუთი სოფელიც ისწრაფის,  
რომ მოიხადოს ვალია;  
მან „ახლო მახლო“ მოკრიფა  
დურბი მხანული ლალია,  
„შინაურ საქმეს“ მიუძღვნა  
ევგ ძვირფასი თვალთა. —  
სადურბი მხანოთ აქცია  
სასულიერო „ორღანო“  
(სჩანს ვაწვრთნილი აქვს ამაში  
მას სამეტყველო ორღანო.)

ფილოსოფოსობს კირილე;  
 ყრმას ურჩევს: „იყავ მუნჯიო,  
 რასაცა ფიქრობ, ნუ იტყვი,  
 რაც ნახო, მანუ ნუ სჯიო.  
 ბუნების კანონს განმარტავს,  
 იგონებს ვარდს და იასა;  
 იღრე გამოსულ კოკოსა  
 და შერე ყინვას ცრისა..

ამს უფარღებს ყრმისა ნიქს...  
 (ტული ანალოგია ..  
 ყრმის ნიქს ვაკეინავს კირილე  
 და მისებრ შავი ჯოგია.)

იმ „ახლო მახლო“ რაც ნახე,  
 ჩვენც გნახეთ „წუთი სოფელლო“  
 ცხედრისა მინც არ შეგრცხვა,  
 ცოცხლების ტუდის მყოფელი?!

ღურმი მხანული ფანდებით  
 ლამობდი აცოცხებასა,  
 მაგრამ წაგიხდა განძრახვა,  
 «იქ» არ ამობენ ქებასა.—

ჩვენც ვაგიცანით, ვინც იყავ  
 ცხერის ტყავში გამოხვეული,  
 შორს ჩვენგან! ვინძლო, ვინილოთ  
 განმარტოებით უფლი.—

კრიჭა.\*)



დეგეშები.

(ბოტის სა-ვენტო)

**დიდი-ჯიხიანი.** შესდგა სამთა კეშირი: „პრო-  
 ვიტლსტენი“ მამასახლისისა, „სმოტრიტელი“  
 სერგოსა და ბლალაოჩინი სამსონისა. სერგო უკვე  
 გადსახლდა სოფლის კანცელარიაში; ამბობენ, მა-  
 ლე მამა სამსონიც იქ მოიკალათებსო.

**იქიდანვე.** ხუთშაბათ ღამეს სერგომ სიხმარი  
 ნახა: თითქოს მამასახლისის არსენალი აღმოეჩინოს.  
 განთილისას ის კანცელარიაში მიიჭრა—დახვდა აღ-  
 მოჩენილი ერთი საჩიტე თოფი. დაღონდა სერგო  
 და სთქვა:—რა კარგი სიხმარი იყო, რომ ავიღ არ  
 ამხდნოდა!

**იქიდანვე.** სერგია დიდის „რაზულენიეში“  
 „აველტს“ და „კოროლს“ შეტაკება მოუხდათ.

პირველი მიმით დაშავდა.

**იქიდანვე.** იმ კომისიის გამოძიებამ, რომელიც  
 დენი ქანქარი მითვისა ყოფილმა მამასახლისმა ივ.  
 ვაზაძემ, როგორც მოკაული აღზახა შვილი აცხა-  
 დეს, გამოაქვეყნებენ 1920 წელს.  
 (ჩიკლიკოს სავენტო)

**თელავი.** ქალაქის თავმა თელავში სასოფო  
 წესები გამოაცხადა. მსურს დაიჭიროს „ქახეთის  
 დეგეშთა სავენტო“.

**იქიდანვე.** ვაგების პროგინანზის „დორნი-  
 კათ“ თავისივე თხოვნით დამატკიცეს ი. გორდ-  
 ზიანი.

**წინანდლი.** მოხდა უბედურება. ბადუროს  
 გამოელია გრამფონის ნემსები, რის გამოც საფ-  
 ლისწული მამულის მუშებმა მამასახლისის პეტრია  
 მიართვეს და ითხოვეს ნემსების გამოწერას უგრამ-  
 ფონოთ ღვინის სმის იშტა არა გვაქსო.

**შალაური.** დიდის ამბით იღვესაწულეს თავის  
 სამშობლო შვილის ჩიხუას ერთი წლის სამსახური.  
 შალაურის ბალი ვაჩირადღებულ იყო.

**ენისელი.** ულაგათ დატოვეს მიხილ ერ-  
 ნოსოვი.

(მს სა-ვენტო)

**ბლაგორი** (ხარავაული). ოთხი წლის თავზე  
 მოიხსენეს 1906 წ. გარდაცული ზილითთეკა-  
 სამკითხველოს სული.

**ღარკევი.** ფრანგების „შავი ქვის სარეცხ  
 ქარხნის“ „ჯიუტი“ გამგე, როგორც იყო „პუკოს  
 მოვიდა“ და საბოლოო გადაწყვეტა, 8 საათის  
 მაგიერ ღარჩეს ისეც 10 საათი სამუშაო დღე..

**ჭიათურა.** უმუშევრთ ღარჩენილება, ერთ-  
 ხმით დაადგინეს, გამოიწვიონ ერთი კარგი, მიღ-  
 ბული პროტექტორი, რადან ქარხნებში უპროტექ-  
 ციოთ არავის იღებენ.

**აქიდანვე.** ვ. გველესიანმა ცირკულიარი გა-  
 მოსცა: ვინც მის შესახებ „მათრასში“ დაბეჭდილ  
 წერილს წიკითხავს, ორ ორი მუშტით დაჯარი-  
 მის ყველანი. ამ ცირკულარის დაბეჭდვისათვის  
 უკვე დაჯარიმებულ იქნა ვაჭარი შეყელაძე.

შ ი რ ა დ ა.

რბილი არის და მიწილი,  
 ხან მშვილია, ხან კი—ცხარე,  
 ხან თაფლი სდის და ხან მშარი  
 ხან შარბათი ხან ძირ მწარე.

„პატარა და უღონოა“.

მაგრამ ხმაღვტე უფრო მჭრელი!..  
 ბოლო მარკვალს რომ ჩამოსწყვეტო,  
 ხელში გრძებათ თქვენ პირველი.

ესლა სომხურ ერთ-ერთ გაზეთს  
 მოუწახეთ თქვენ სახელი,

\* მის „კრიჭა“ არ ვახლავთ, რომელიც ორის-მი  
 წლის წინ თ „ოხენჯში“ იკრიბებოდა.

მხოლოდ თავში ორი ასო  
 არ ივარგებს შეუცვლელი:  
 მეორე წინ დასაკუთო  
 საქმე არის სულ დვილი,  
 და წინიდანც მიუბატო,  
 ხელთ რომ გქონდათ ის ნაწილი.  
 რა გამოდის?! თუ ვერ მიხვდი  
 და შარადს დამიძრახავ,  
 გადაშალე ეს თურნალი,  
 იქ ამ სიტყვას ხშირათ ნახავ.  
 სადღისო საშარალო  
 სიტყვა არის, დამიჯერე!  
 შენ კი... ღმერთი რად ახსენე?  
 პირჯვარი რათ გაღიწყრე?  
 „ვიჯმნი! ვიჯმნი!“ დაიძახე,  
 თანაც ნაბიჯს აუჭქარე...  
 ბოღიშს ვიხდი. ტყბილი ლექსით  
 თუ რომ მართლაც ვაგაფარე!..

ონიზმე



ინტერგიუ ფოთელ „ანათემასთან.“

ფოთში „ანათემასე“ ბევრს ლაპარაკობენ. ამ-  
 ბობენ, ის „ეშმაკი“ და „სატანაო“; ბევრნი კი  
 (განსაკუთრებით კრიტიკოსები) წინააღმდეგს ამტკი-  
 ცებენ. მეც დაინტერესდი. მეგონა, ანდრეევის „ანა-  
 თემა“ თუ არა, მისი ასლი მინც იქნებოდა და სა-  
 სტუმრო „ლონდონის“ ნომერში ვვახელ ფრიალ  
 „ფილოსოფიურ“ ვკავს.

შევაღე კარი.

— თქვენა ბრძანდებით „ანათემა“?!

— დიხ, მე გახლავარ, სახიერებას ჩემსა არ  
 უჩანს დასარულ. მე ვწვდები უწვდომელს, მე არ  
 გგონონო უბრალო მამაკედავ, როგორც ანაირო,  
 ვწვდები „მკორე ტვინის“ მიუწვდომელს.

— კატეგორიულ იმპერატივებზე რას იტყვი?

— მე ვარ კატეგორიულ იმპერატივების მატა-  
 რებელი. ჩავყლაბე კანტი, კონტი, ფიხტი და გველი  
 და მრავალი სხვა, მაგრამ ამ ფილოსოფიასში ყვე-  
 ლაზე უფრო დუბროვ-ნ-პურიშკევიჩები მომწონან,  
 რადგან მათია მომავალი... როცა ყურე ბრბო აყაყა-  
 ნდება რაღაც „მიუწვდომელ იდეალზეზე“, მე ჩუ-  
 ჩუმათ დუბროვის პურიშკევიჩთან მიწერ-მოწერას  
 ვმართავ. ესთხოვ მათ აღმჭურჭონ უფლებებით და  
 ფოთში, რევოლუციონერთა ბუღეში შექნან

„იადრო“ ქეშპარიტ-ფილოსოფოსთაყ, ყოფნე ჭეფერი  
 პლანიური მოქმედებით ავლავმოთ გეგმურე (და)მამ-  
 ყაყანე ბრბო!

— ნება მიმოძეთ გითხო, ბ-ნო გენიოსო, რო-  
 მელ ბრბოზე ლაპარაკობ?

— რომელ ბრბოზე? აი შვეი ხალხი რომაა,  
 მუშებს რომ ეძახიან. ისინი ბ-ნო ვოლდემარ, მე-  
 ტად საშიში ხალხია ჩემი ფილოსოფიური გენია-  
 ლობა მუდამ იმას მიკარანხებს, რომ ჩვენ, მარილნი  
 ამა ქვეყნისანი, ინტელექტები, ექვნით კულტურას,  
 ექვნით მომავლის ირედებს და ეგ ყურე ხალხი, თავის  
 გატალახებულ ხელებით დაერგვიან ჩვენ მიერ შექ-  
 მნილ „საუნჯეს“ და დაღუფენ. მე მძახე ეგ ბრბო,  
 საზიზღარი ბრბო! მე მათ ვაჩვენებ სერს. დაე ახ-  
 ლა იყვირონ „მილაღ-მატერიებზე“, ახლა ვაკვივ-  
 ლონ „მომავლის იმედებზე“.

„ანათემასე“, მუცელი წამოგებრა, თვალები  
 „ჩარჩოებიდან“ კინაღამ გადმოუვარდა და ბრბო-  
 რეულმა ისე მაგრად გაატყა თავისი „ქეშპარიტე-  
 ლი“ ხელი, რომ მაგიდა გადაკოტრიალდა და უჯ-  
 რიდან მრავალ „ფილოსოფიურა“ ნაწარმოებთა გი-  
 დმოიზნა.

მე დაეუწყე მშვიდება ანათემას და თვალბრებთა  
 ბნულ საუნჯესს, რომელთა შორის თვალს მოვკარ-  
 ერთ კრებულს («На рубежье»): იქ მსხვილათ ნაწე-  
 რი ფურცლები ეწყო. გადათავალიერე და შეენი-  
 შნე, რომ ის გაქრელებული იყო სხვა და სხვა ლა  
 მას ფრახებით.

— რა არის ეგ წიგნი?

— ეგ საღარაო საიდუმლოების. როცა თავს  
 მომიწვება მიღალ იდეები, როცა მახჩიოზს წყურვი  
 ლი წერისა, გონება მერევა. ძლიერ მიყვარს მყე-  
 რალა (უკაცრავად) ლამაზი ფრახები. აქ და სხვა  
 წიგნებშიაც ისინი ბლომიდაა განაწული. ვკრებ მათ  
 ვაწყობ მძივებიით და „Батумსკია Известია“ს  
 ფურცლებზე გამოიკვება შეუღარებელი მეთაურება.

— ეგ ხომ პლაგიატობაა, ბ-ნო ანათემა, განა  
 სხვის ფრახებს კრებთ და მათ აწებებთ ერამანეთს,  
 ეგ განა საკადრისი საქციელია?

— ჰე!.. მიპასუბა ანათემამ. ყველა მწერლები  
 ჰპარავენ ერთმანეთს; ისინი თუ მთელ ვვერდებს და  
 ფურცლებს იპარვენ — მე ვიღასი მაჩანჩლო ვარ.

— კი მაგრამ თქვენ კოპიერაკებს რაღას ერ-  
 ჩოდით, ან სხვას ქურდობას რატომ უსაყვედუ-  
 რებდით?

— როგორაო? განა არ იცოდით რომ მე იქ  
 შევდიოდი „გასაყნოსავათ“. ყურე ხალხი იქნეუ-  
 ლობდა. მე მინდოდა იქ „დისკილინა“; ჩვენებუ-  
 რი, ქეშპარიტული დისკილინაა. მე, როგორც მტერს  
 ამნაირო დაწესებულებისას, ორგანიზულათ არ შემიძ-  
 ლია „რეზორისის ადილო“ მოამენა, რაქეთუ, მოკვ-  
 სენებათ ჩემი მოვალეობაა — „ქეშპარიტული საჩაიკ“



დაარსება. დიხ, ბნო ვოლდემარ, მოზღვავებულმა და დეგუბულმა შურისძემა უკვე ჰპოვა გამოსავალი. გერ ეს რაა? სულ სისხლს ვაგუშრობ ყრუ ხელს. ავლავვი დედაშენის პირიდან.

— ყრულის შემდეგ ანათემავ, იხბაშს რათ უნდოდ აქვენი დათხოვა?

— სულ უბრალო რამესთვის. მე ხშირათ მიტაცებდა ხოლმე ფილოსოფიური აღმაფრენანი და ბალანსში (ანგარიშსდროს) მცდრებები და ცხენები „სკლადში“ წლობით რჩებოდენ, მაგრამ ეხლა „აბრუნდი“ ჩემი ძლიერი მეგობარი გახდა. მე ვაღმერთებ მის „რკინის ნერვასი და გაბედულეზის“, რამეთუ ის შესძლებს აღავოს „კრამოლნიკი მუშები“ დედაშენის პირიდან... ბრბომ განიხრახა „გადბრუნება!“ ახა, შესდგ ყრუ ხალხო ეხლა გატირ-ვატყენლენ, გაკენესებ; იცით ვისან გაქვთ საქმე. ბრბო, მოსჩანს, ბრბო მფუქრება, საზიზღრე ბი;... Эй караул! „братны истинные“.. დაიქი—რ—ე—თ და—ი—ქირეთ... ბრაზობრეტულ „ანათემას“ ხმა სულ აუკან კლდა.. სახე წამოგებრა, თვლინი კინადამ გადმოუციენდა და ისე ძლიერ დაჰკრა მივიდას ხელი, რომ ყირამაღა გადმოტრი აღდა და შიშმა მეც შემიპყრა (ვა, არ მაგეგებიოს, ჭეშმარიტული! თქვა) და მყისვე მოექუსლე სასტუმროდან.

ლოდემარ



# სეკენაღ

(თავისუფლება)

მე კვლავ აქა ვარ, შენს სარკმელთანა ვით სამსხვერპლოს წინ მუხლებე მოყრილი, კვლავ ხელთ მიპყრია ჩანგი გრანველი შენს სადიდებლათ ციდან მოძღვნილი... ისევ ვაღვრებ სიმებს ვით მაშინ, მძაფრმა ქარბუქმა ვერ მოკლა გული, ვერ დაამსხვრია წმიდათა წმიდა, ვერ აღმოჩენა გულს სიყვარული.

ტრუფავ, მისმინე, მე გრანობავ ვაღმერთებ და დამოიხედე, ხილვა მატირსე, და როგორც მაშინ—პირველ ნახვის დროს; შენს მეგობარს გული შევითი ამოვიცე... მე ერთგულერ ვარ შენი, ძვირფასო, შენი ხატემა ღმერთად გადმექცა და ვერ აღმოფხვრის ამ გრანობას წმიდას თვით გოჯოხვითი, ცეცხლ მურქვეველი ცა... აკი მიდამო გენიათ მექცა, ცამ მებით მექვემა თავს დამატირა, ზღვა აბობოქრდა ჩემს დასათრგუნათ, ერთგული ნავი ქვესენელს ჩასძირა..

ბულბულის ნაცვლათ ყვემა დამახავლო, ცრემლათ დამიღნა დედა მშობელი, დემონმა ღრეკით ფრთა მომაფარა და გამიმეფა უკვნი, ბნელი.. მისა მე მაინც ვერამ დამძლია, ვერაინ ჩაჰკია გულს წმიდა გრძობა, მუდამ მშველოდა, ჩემო ღვათებავ, ცხოვრების გზაზე შენდამი ტრფობა..

და კვლავ აქა ვარ მე შენს სარკმელთან, ისევ გიმელორ, ისევ შეგზარო, მინდა გიხილო ისევ მშვენებავ, მინდა ვაგილო სიყვანის კარი..

მაშ გადამოხედე ბნელს არ უშინდე, შენს თავსა გოცავ, გაქრება მალე... ჰა, განთიადიც მგონი ბნელსა ფხრეწს!.. ერთი მხვვენე, შენ გენაცვლოვ?..

ვ. მალაქიაშვილი.




დაეშვები. (შემთხვევათი)

სუჯუნი. როდესაც აღვილობრივ სამკითხველოს პანაშვილი უხდიდა, მამა ფილიმონს გული შეუწუხდა.

ზანათი (სამეგრელო), ამ ახლო მომავალში აღვილობრივი მედუქნე იავორა წყაითახეს საინტერესო იტყვიას: „როგორ უნდა ვებრძოლოთ კოოპერატიულ მოძრაობას“. აზომონ, საკუთარი თეორია შეუღდენია აიხს შესახებო.

იქიდანვე. აღვილობრივი სკოლის მასწავლე.



ბელმა მიზა მოიგონა ახალი ენა სამეგრელოს სკოლებსათვის. აი ნიმუში: ეკითხება მიზა მოსწავლეს:

- ქომიწი, რით ლოვიატ თევზსა?
- რიბუს იქერენ ანკისთ, უბასუხებს ბავში.

**გულდაუთი.** როგორც ამბობენ, ახალ-მოსული ფოსტის მოხელე პავლე ვარშამოვი მეტის მეტად თავზიანი კაცი ყოფილა. თუ ხელ-ქეითმა „ჩესტი“ არ გაუყვთა და ისიც ორივე ხელით, მაშინვე ხელს დაბანინებს სამსახურზე.

**გოჩაჯიხიში.** ზედამხედველს ძიმისტრაშვილს და მასწავლებელ ზაენიძეს შუამდგომლობა აღუძრათ: სავლდებულო სავნათ ჩაითვალოს კარტის თამაშიც.

**ნახახულევი.** გაფლანგულ ფულების შესახებ ღლი ბრძოლა.

**მათხოჯი.** დიკარგა შვიდი თვის წინათ სამკითხველს გამგებობაში წვერათ არჩეული მღ. ი. ჩ—მე.

**სამარეღია.** ჩვენს დაბას გაპოსადება მოელის. ამის გამო აშხადებენ ახალ ქაობებს დუქნების წინ **იქიდაწვე.** სამტრელიდან თფილისში დეპუტაციას აგზავნიან ნასწავლ ძალღებების სათხოვრათ. უნდათ აღმოაჩინონ ამ წინაზე დეპარტული სანიტარული კომისიის თავმჯდომარე.

**აბაშა** (სამეგრელო). როგოთც გამოირკვა, კვატანის სკოლაში მომხდარ სროლის დროს, ვარდა ოთახის ქერისა და იატაკისა არავინ დაშავებულა. ამბობენ ყმაწვილებს ბახუსი მოეჩვენათო.

და თუ ჩქარა არ გვესტუმროს იცოდ რომ საქვე ხდება.

ხუთი კაცისაგან შესდგა „აბრუნდათ ოპოზიკია“ და სხვა და სხვა ოინებით გაიმაგრეს პიზიკია მიზნათა აქტო. პროგრესისტებს გაუწიონ „მეცარი ბრძოლა“ (მშენებრათაც ეხერხებათ ქიხინი და მჯილით რჩოლა.) ერთ მითვანს ძმით მოსწონს თავი, დანარჩენებს გურულობით; დონკიზოტობას იჩქენ „სისბრძნით და გაბედულობით.“ ლიღირია „მეკვერ მეტყველი“ — „ხალს ეს სურსო“ „მეცნიერობს“ და ამ ხერხით ცდილობს იგი ხალხი მოიადრეილოს. (ნამდვილათ კი ასე არის გაზარდოს გააძლიეროს.) შემდგომად კი მღვრეულ წყალში ალბათ უნდა თევზის ქერა, მაგრამ ამ დიდებულ მიზანს მან ვერ მიადწია ჯერა. და შეგებულთ „ფერილობაში“ თუმც ხალხი ვერ დააჯერა მიანც ყვირის: „ჯგავის აცეთითო!..“ ხალხი ამბობს: „ვერა, ვერა!“

დაიბეჭდა და გამოვიდა ვასასყიდათ

ქ. 3. კანდელაკისა

# კოოპერაცია

თეორიას, ისტორიას და პრაქტიკას

წიგნის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ნაღფულზე შემდეგის ადრესით: *Тифлиса, Тинотაქია Шროма В. К. Болквадзе.*

ფონც არა ნაკლებ 50 ცალისა გამოიწერს, დათობობა 25%.

ვისაც სურს პროგრესიციებიდან თითო ცალი გაიწეროს, შეუძლია გამოგზავნოს შერდი შაურის მარკები და ამ ფაშის მიიღებს თავის ადრესზე.



მ ო წ ო ღ ე ბ ა .

(თფილისის სკოლის სადგურადან)


ძმაო ეშმაკო! ჩვენ, მუშებს, შენზე ცოტა გული გვწყდება, ვინაიდან ამ ჩვენ სადგურს არ ნახულობ—გავიწყდება. შორე რბენას, ის გაიგო აქ, ცხვირის წინ თუ რა ხდება?

## „ეიღება შრომის“ სტამბაში

და ზგურეჟე ტაეკსაენებათ მსურველთ: 1909 წლის „აღმანახები“ 7 ნომერი და „მათარხი და სელამური“ 29 ნომერი ერთად შეკრული 2—50 კ.

# ახალი იერიში

საქართველო  
საბჭოთაო



როგორც ვაგიგეთ, ქუთაისის „კეთილშობილითა“ ცირკში კვლავ მომხდარია მეტათ საინტერესო შეტაკება. ვეფერი გეგმაკორის წინააღმდეგ გამოუშვიათ ლეჩუმის მთებიდან ჩამოყვანილი ზუბრია მთელი „საზოგადოება“ ალტაკებაში შოიყვანა ზუბრის ახოვანებამ და „კეთილშობილორმა“; თავგანწირულმა ბრძოლამ. ამიტომ, მიუხედავად მისი დამარცხებისა, ამზობენ „გუბერნიის ჩემპიონობას“ უბოძებენო.

# საემპეაკო უსტარხი გურიიდგან.

ემპეაკო, ჩემო ბიძია,  
შენთან ბასი მწყურია;  
შენის ბრძანების ფირმანით  
ჩამოვიარე გურია.

დადგა დღე-მარხვა თუ არა, შიშისა გამო ლობიისა  
დაუტყვევ სასლი, აღვიღე ყვერთხი სამგზავრო, გადავიციღე  
ტანა-ჯგუფი და წვეშდექ მიმოიღოს გურიისას.

პი, პი, ჩემო ბიძია, რომ მე ვერსად „შავს“ ვერ გა-  
დავიღებდი, თუ ჩვენს სოფელში მამადიანი მთავრობის მამა-  
სახლისი თვითლიყო—მინდოდა, თუ არ მინდოდა, ვიყავი  
ღირსი თუ არა, უნდა მეთქვა აღსარება და მიმეღო წმინდა  
ზიარება. გახველი ჩოხატორეში. დიდიპარტივის პირველი  
დღე იყო, ბრძანების თანახმით ყველას დაემტკიცრა სწინლი  
ნახშირი ტურტელი და ზიარებისთვის უმზადებოდნენ... ლო-  
ბიის გამომეცქი, მაგრამ ლობიის მეტი აქეთ ვერგებრი  
ვიშინე—ასეთი იყო ბრძანება—ბრძანებულისა—თავისუფლუ-  
რწმინისა. ბრძანებელი კი საჯავახის წსულყოფი დაზოგებრი  
სანადიროთ, გამარჯვების :ღსინწინათ მოქლომადდედელ  
დუნქებს ამნისტია უყო და განათავისუყო.

ჩოხატორიდან ნი გოი იმ ვეცოცხე... მინდოდა  
ზოგიერთი ვაგებატონების ნახვა, სახლში არავინ არ დაწვიდა.  
ყველა ეკლესიაზე იყო. ბრძანების თანახმით რვა წლის „ხუ-  
დაველი“ ყველა ზიარებისთვის უმზადებოდა. მინდოდა მომე-  
ცადა თღობრობის შეფათმდე და ჩემის თვითი მენახა ეკ-  
ლესიაში „პაეარი“, ხომ იცი ზიარება „ცეცხლითა უფროსა  
დამწველი“, მაგრამ საემპეაკო გამიჩინდა ლანჩხეთში და  
იქით გავეტოვე.

ჩემო ემპეაკო, ჩემო ბიძია, სულხედ უტებესო თუ არ  
გინახავს ლანჩეთი, გიხოვ იმპეაკო. ან კი რას ნახე შენ  
შუქთის ამ ქვეყანაზე.

დაბ, ჩავედი ლანჩხეთში სწორეთ დიდ-მარხვის პირ-  
ველ კვირაიკს

და მუნ ენახე ქალთა კრება;  
გვიციცები, მათი ნახვა  
თელს იცევე შენატება.

თოხსი ეკლესი ქალი შლიაიანი და უშლიაიო, რა-  
მოდენიმე დარბაისელი მანდილოსანი—ბარიშები და ქრია-  
ნები—სკოლაში მოწაფეების სკაებზე მსდომარენი, წიხ კო-  
მისიის წევრები. არც ერთი ათი... ყველა აღტაცებულად გამ-  
სტველული ერთი აზრით. ამ თობი თვის წინათ „გაუდებულ“  
ქალებს გადაუწყვეტიათ, ააშენონ თუატრი. დაბრეჩვიათ  
კომისია, შეუქმნიათ უფსატი რამოდენიმე ასათ დიფერული  
შენიბის მასლა. ჯერი მიდგა ეხლა ადგილზე—თუ სად აშენ-  
დეს. თუ ადგილხანს ერთსთოვანთ მუშობდნენ—ახლა აირია  
მინასტრის\*), რა იყო მიზეზი? მოკლე და ადვილი გასა-  
გები. ყველა კომისიის წევრი ქალი რომ ერთი თჯახიდან  
თვითლიყო, მსგავსი არაფერი არ იქნებოდა, მაგრამ რაკი  
სხვა და სხვა კუთხის დარბა, შეიქმნა ავკარი-დასვარია. გა-  
ჩაღდა ჩვეულებრივი კუთხობანა. ლანჩხეთი ამა რა იმოდნა  
დაბაა, რომ ეშორის ვინმეს, ნაკრამ ყველას მის ეხოში  
სურს—ვევლოურებს დღის პირში უნდათ დუნქენბი ჩახი-  
რული, ცენტრალისტების ასკურავის ეხოში, შუა ადგილიაო,  
ხელოურებს კიდევ ზვეთი თროღანას ეხოში. ყველა ესენი  
ერთობრძანებულ რამოდენიმე სადენით არის და მოსტეხული,

მაგრამ მაინც იწყებს მედგარ ბროლოს. ასე გასიჩქოვედა  
პარტია ვერ დაეტყო ზედა პარტიის იერს მიწის უფოსით  
შონამ. რას მიქცა შემოწირულება, კანის ფოლადი და აქ  
ვიყიდა, სადაც უკეთესიაო. ბრძანებულნი მშვენიერ სტესის  
წარმომადგენელი. მაგრამ, ემპეაკო გულთახილთავიყო, მე და  
მგონი შენც თუატრი იმდენად არ ავინტერესებს, რამდენა-  
თაც ამდენი ქალების ერთად გამოვიძებდა.

რა უფოთ რომ კინკლაობაა, ჩვენ გვრწამს, რომ დო-  
ლოს მაინც გამოარჯებენ, შეთანხმდებიან და ერთობელ ბა-  
ტრახაბებულ განრიალებულ სკემეს, ბოლოს მაინც სასარ-  
გებლოთ და სასაბელოთ გაათავებენ. და იცარა, მაგრამ...

კუბის შენც მდებარე ჩამოვიარე, დავავიციე „ვი-  
ვესკესტს“ და სხვათა შორის ჩემი ყურადღება ერთმა მი-  
ყრო. ზედ ასე იყო წარწყრა:

„ПРОМЬ  
БОЛНЫХХ  
И

Акушерство наружных и внутренних болезней.  
Медицинский фельшер Иванъ Медикидъ.

ბგერი რამ ვისინიეთ ამ „ნაუჯიბი აკუშერზე“, მაგრამ  
ეს შეგეგ, თუ დაჩა საქრო და არ მოიშლა ჯიბის აკუ-  
შერობა და საიქიოს პასპორტის წერა.

საბიტი.

## წარიღები რედაქციის მიმართ.

ბასხუბთ ბ-ნ „ერთს“

„მთარხ-სლამურის“ № 8-ში მთავსებული მქონ-  
და „შეითება ეშუასხილი“ მთხილოვანს, რომელმაც  
ბრალს ვეგები მთხილოვანს დღის ზოგიერთ მუშებს,  
ცილის წამებაში, რთაც მათ ერთი აურ-სჯარი და შოთ-  
თა გამოაწვეეს მუშებს...

ჩემს მიწინააღმდეგეებს რომ იოტის ოდ ს სმა-  
რთლე ქონებლით, —ეგრე დამე უფარეს არ მოკლებო-  
დენ, და ზირდაზირ ს ს სპარადოს, რსხედც ისინი  
ერთ დროს „თანხმს“; ეგენ—მიმართავენ და სემეს  
ამ კურტულე; დი სს'ფეებით გაზააგებდენ... მაგრამ კულ-  
ტურულ სს'ფეებს კულტურეო დამამიანი უნდა...  
ამათ კი მხოლოდ ცილის წამება და შფოთი ესერხებათ,  
სოლო დატეტეგებას ციხსხედათ გაუბიანს. ამიტომაც,  
ეს ვაგებატონები ბ, „ერთის“ პირით, მთარხ-სლამურის“  
№ 9 ში მე, მასწავლის დინსდენ ა მინდობდ და  
მხოლოდ მითხებელ სს'ფეებს მიმართავენ შემდეგი  
სიტკეებით:

1) „ბ. ხს—ის არა სწამდ უმრავლია და მისი  
ტაწველილება; 2) მას ექვამ მიანდა თავისი თავი  
უგოველ მხმად და მხად იყო, დიდი უმრავლესობის  
აზრი ფუხით გაუგელა. ამიტომ, ხს—ის ასეთ თოფენე-  
ბობას და სხვა საქცელეს მსჯავრი დაუდგეს და ასეთი  
დადგენილება მიიღეს;

„ახს—ი, როგორც ნერვეით აუთმეოფი, შეიდე-  
რესი ეგოსტეო, უამყოფელი ეოველგარ სს'ფე  
დადგენილება. ტაიციხის ისეთ კრბი, სლაც იმის-  
თან მდებდეს სს'ფე ოტენს“... და სხვა...  
უოველივე აქ მონაწერე სიმართლეს მოკლებულია

\*) ოპ, რა ძნელია მინასტრის არევა და ისეთ ქალე-  
ბის მინასტრის!

და გამოწვევდა სულ სხვა, შირადული ინტერესებით მსოფლიო „დადგენილება“ რომელიც მე „სხვა ერთი გადაწყვეტილებით“ — გამოიტანეს ბ. „ერთობა“ და მისმა 5—7 ამხანაგებმა, რაზედც სხვა მუშები დიდი წინააღმდეგობა იუფენ... და მოითხოვდნ საქმის გამოცხადება გარეგან... ამის შესახებ შედგა კიდევ ს. სასამართლო, რომელსაც საქმე უნდა გაერჩია, და ბ. „ერთობა“ და ამხ. „თანხმობა“ გასდინ... მაგრამ შემდეგ, მათ თავი კლახთი იტვირთეს და „თანხმობა“ უარყოფითე შესცვალეს; — სასამართლოს, უკანასკნელის მოთხოვნის შემთხვევაში, „საბუთების“ გადატანაზე უარი უთხრეს...

ეს არის და ეს... ამ უარის მოწმენი ბევრნი არიან და გვიყვარს, რომ ბ. „ერთობა“ და ამხ. ამის შემდეგ ათასგვარ დობულობას უღებთან და საქმის მიუხედავად, სასამართლოს უარყოფითი გადაწყვეტილება...

ვინაიდან აქ შირადულ, კერძო ინტერესებს დატყუარებულ საზოგადო ინტერესებს იჭყლიტება, — საერთო მიზანია ამ საქმის აუცილებლობა ს. სასამართლოსგან გარჩევა, რისთვისაც ვამდგენ წინადადებას ბ. „ერთობა“ და მის ამხ. რომ გადასცენ მათ უაღვრევე „საბუთები“ სსსკ-ზე სასამართლოს...

დევ. სასამართლომ გარჩიოს საქმე და მათვე გამოამხურონ ამავე „ძიორასი საღამური“... ს. ფურცლებზე თუ ვის რომელი „ერთობა“, თუ ანაჟამე ეკუთვნის ცხოვრება... და ის სასამართლო და მხოლოდ სასამართლო!.. ციხე სამედიატორად, ციხე საამხანაგოდ. ვინც ამას უარს უთხრს, — ის სიმატევეს გაურბის... და სწავლ. მზითვარით, ასეთებს ინტრიგანები და ცილის მწამებლები ვუწოდებ...

პატივისცემით აბ — ი.

დიდი იაფი ვაჭრობა კიდევ ექვს დღეს

# კ. ს. ღორჯოშენოვი

სოლოლაკის ქუჩა, გურგენოვის სახლი, ტელ. № 583

რომ მთლათ გაიყიდოს იაფ ფასებში გასასიდათ დანიშნული საქონელი,

იაფი ვაჭრობა გრძელდება კიდევ ექვს დღეს!

## ე. ი. 15, 16, 17, 18, 19 და 20 მარტს

ეველა დარჩენილი საქონლები


ზემოთაღნიშნულ დღეებში,

გაიყიდება იმავე იაფ ფასებში.

## საოცარი იაფი ფასები

ამ სეზონისთვის ეველა სპეციალურ განყოფილებებისთვის ვდეზულობით შრავალ სხვადასხვა საქონელს.  
 ლაქ გარეთ შეიღვევლის გავეზაფხებთ საქონლების ნიშუქი უფასოთ.  
 კ. ღორჯოშენოვი


# ჟურნალისტების კრება.



**მხახური.** მოაწერეთ, ბატონო, თქვენი სახელი და გვარი!  
**ჟურნალისტი.** რა საჭიროა მოწერა! განა სულ ერთი არ არის?  
**მხახური.** თუ ყველა ასე იტყვის, მაშინ კრებაც არ შესდგება.

**ჟურნალისტი.** (ჩუმად) თუ ეგრეა, გთხოვთ თქვენ მოაწეროთ ჩემ მაგიერ. ის კი არ იუიკროთ, თითქო მე წერა-კითხვა არ ვიციოდე! პატრონებს გვეუცებიო...

**მხახური.** (თავისთვის) დასწყველოს ღმერთმა, ყველა ეგრე ამბობს... მოდი და ენდე მაგათ პატრონებს!



თითონ რაკი არ შენახა,  
 აღარც სხვისაგან შეგროდა:  
 თურმე სახალხო სკენაზე  
 ვინ ბრანდის ქალი მღეროდა.  
 „თფილისის მუშებისაგან“  
 აღრესი დაიწეროდა ..  
 (ისეთი შინაარსისა,  
 დაშვრთ რო შეეფეროდა!)

მომღერალ ქალსა აღრესი  
 საშინლათ მოეწონოდა,  
 „მუშების“ თანაგრძობითა  
 იღბათ გულს მოეფინოდა.  
 ერთ ავტორთაგანს იქავე  
 გადახვევ-ვადამკონოდა,  
 ჩაუკოცნავი ადგილი  
 სახეზე არა ჰქონოდა.